ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2017/210

ქ. თბილისი

31 აგვისტო 2017 წ.

ერთი მხრივ, **სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რამაზ ლომიას სახით და მეორე მხრივ, **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო** (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი ეკონომიკური სამსახურის უფროსის კობა ხუბუნაიას სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც – მხარეები, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის წესით ვთანხმდებით წინამდებარე ხელშეკრულებაზე შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის, მის მიერ ,,სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი საჭიროების შესაბამისად ადმინისტრაციული მომსახურების გაწევა (CPV–75100000), (შემდგომში - მომსახურება).
1.2 ხელშეკრულების მიზნებისთვის ადმინისტრაციული მომსახურება გულისხმობს შემსყიდველის მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე წინასწარ განთავსებული თანხის სანაცვლოდ მიმწოდებლისაგან სარეგისტრაციო და საინფორმაციო მომსახურებების მიღებას.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **138'980.00 (ას ოცდათვრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს,** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2 მომსახურების ტარიფები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებით.
2.3 შესყიდვის ობიექტის ღირებულების წინასწარი ჩარიცხვა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ანგარიშზე იწარმოებს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

3.1 მომსახურების გაწევა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2 მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ: მიმწოდებლის მხრიდან საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, შემსყიდველის მხრიდან - სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ეკონომიკური სამსახურის უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

რამაზ ლომია

კობა ხუბუნაია

5 ანგარიშსწორების წესი:

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) დაფინანსების წყარო: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლები.

5.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შემსყიდველი იღებს ვალდებულებას ეტაპობრივად, წინასწარ გადაუხადოს მიმწოდებელს სამომავლოდ მისაღები მომსახურების ღირებულება.

6. მხარეთა უფლება - მოვალეობები

ა. მხარეები მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ასრულებენ კეთილსინდსიერების, მხარეთა ურთიერთთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით;

ბ. შესრულებული მომსახურების აღრიცხვის მიზნით მხარეები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ მიმწოდებლის მიერ მინიჭებული პირობითი ქვითრის ნომრები, რომელთა აღრიცხვა და შესაბამისი თანხის დაანგარიშება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე;

6.1 შემსყიდველი ვალდებულია:

ა. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი თანხის წინასწარ გადარიცხვა მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სასარგებლოდ სამომავლოდ მისაწოდებელი მომსახურების მისაღებად;

6.2 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა. განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

ბ. მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა.

გ. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლისათვის შემსყიდველის მიერ წინასწარ გადახდილი მომსახურების საფასურის ოდენობა მეტია გაწეული მომსახურების საფასურის ჯამურ ოდენობაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს სხვაობის უკან დაბრუნება ან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება არსებული სხვაობის შესაბამისი მომსახურების მიწოდებამდე.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს ადმინისტრაციული მომსახურება მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის დადასტურების შემთხვევა.

რამაზ ლომია

კობა ხუბუნაია

7. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

7.1 ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ეკონომიკური სამსახურის უფროსი ან უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

8.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

8.3. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა

9.1 მხარეებს უფლება აქვთ ცალმხივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, თუ მეორე მხარის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა უხეში ან/და მრავალჯერადი დარღვევისას ხარისხიანად ვერ ხორციელდება მომსახურება, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საფუძვლის არსებობისას.

9.2 მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტამდე 1 (ერთი) თვით ადრე მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მხარისათვის ჩაბარებიდან 1 თვიანი ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

9.3 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შედეგად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე შემსყიდველის მიერ ჩარიცხული თანხებიდან დარჩენილი ნაშთი, რომლის შესაბამისი მომსახურება მიმწოდებლის მიერ არ განხორციელებულა, ექვემდებარება შემსყიდველისათვის უკან დაბრუნებას ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

10.სადავო საკითხების გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.სხვა პირობები

12.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რამაზ ლომია

კობა ხუბუნაია

12.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (2 ეგზემპლარი შემსყიდველთან, 1 ეგზემპლარი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	**სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო**
მის: თბილისი, წმინდა ნიკოლოზის/ნინო ჩხეიძის ქ.#2 ს/კ 202 238 621 მიმღების ბანკი – სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება – ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი – TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 707427078	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს „აღსრულების ეროვნული ბიურო“ თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10 კმ. ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707453459 საიდენტიფიკაციო კოდი: 205263873

„მიმწოდებელი“

ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

„შემსყიდველი“

ეკონომიკური სამსახურის უფროსი

რამაზ ლომია

კობა ხუბუნაია